განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
10-11 ოქტომბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.11.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Maka Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2022.11.08

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ: 247009801 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქ. ქობულეთი** |
| იურიდიული მისამართი | **საქართველო, ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ., N251** |
| ფაქტობრივი მისამართი | **საქართველო, ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ., N251** |
| საფოსტო ინდექსი | **6200** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | **qobuletis-sasuliero.edupage.org** |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **gimnazia111@gmail.com** |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **+995 551 18 08 77** |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | **გოჩა ჟღენტი** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **+995 555 29 31 21** |
| ელ-ფოსტა | **gochajgenti87@gmail.com** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეროვნული ცენტრის 2022 წლის 21 სექტემბრის ბრძანება MES 2 22 0001126661 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 10.10.2022 -11.10.2022 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბოტკოველი |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ტუკვაძე |

## IV. ვიზიტის შეჯამება

**ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი**

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | | | |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მასალით | | | |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების | **მუხლი 7 /** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აღმოჩენის მექანიზმები | პუნქტი ვ. გ) | | |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | | | |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | | | |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | |
| | *1.2.* | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.ბ* | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.4.* | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.3* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი ორიენტირებულია განვითარებაზე და ამასთანავე მისი მთავარი პრიორიტეტია არამარტო მოსწავლის განათლება, არამედ მისი სულიერი განვითარებაც. |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის მისიაა ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი, ტოლერანტი, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული თაობის აღზრდა, რომელიც გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ.<br>მოსწავლეებს შესძინოს მართლმადიდებლურ ცნობიერებაზე დაფუძნებული დემოკრატიული აზროვნება. ჩამოუყალიბოს სოციალური და სააზროვნო უნარ-ჩვევები, რათა მათ შეძლონ ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა და თანამედროვე სამყაროში წარმატებით თვითდამკვიდრება. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | არ გაცემულა |

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 500 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრმა (შემდგომში ,,ცენტრი“), სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, მათ შორის, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (ოქმი.№1, 02/09/2021) დამტკიცებული 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. აღნიშნული სასკოლო გეგმა შეთანხმებულია დაწესებულების დირექტორთან და მართვის საბჭოსთან. ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია ცენტრის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი№1; 05/09/2022)<br>სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ცენტრის მისიას, სწავლა-სწავლების მიზნებს და საგანმანათლებლო პრინციპებს, ცენტრის საერთო კულტურას, სასწავლო წლის კალენდარს, დღის რეჟიმს, საგნობრივ კათედრებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, საათობრივ ბადეს და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, შინ სწავლების წესებსა და პირობებს, სადამრიგებლო პროგრამას, ესგ-ით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალს და აღწერილობას, ინკლუზიურ |

| | |
|---|---|
| | განათლებას, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას, წლიურ პროგრამებს/სასკოლო კურიკულუმებს.<br>სასკოლო გეგმის მიხედვით, „ცენტრში" საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები), საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.<br>დაწესებულება იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებს, საგანმანათლებლო პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლეებს განუვითაროს ესგ-ით განსაზღვრული გამჭოლი უნარები და კომპეტენციები.<br>სკოლა საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო, წრეობრივი აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობის) საშუალებით, ხელს უწყობს ,,ცენტრის" საერთო კულტურის ჩამოყალიბებას.<br>**სასწავლო წლის კალენდარი -** სასწავლო წლის დაწყება-დასრულების ვადები თანხვედრაშია ესგ-სთან. აღსანიშნავია, რომ 14 სექტემბერი, როგორც საეკლესიო ახალი წლის დასაწყისი, დაწესებულებას ,, შეხვედრის დღედ" აქვთ განსაზღვრული.<br>დაწესებულება საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლით განსაზღვრული უქმი დღეების გარდა ისვენებს საეკლესიო დღესასწაულებზეც. აღნიშნული დღეების ანაზღაურება ხდება შაბათის ხარჯზე. 2022-2023 სასწავლო წლის კალენდარში წარმოდგენილია ასანაზღაურებელი დღეების განრიგი. სასწავლო წლის განმავლობაში 7 შაბათი განსაზღვრულია სასწავლო დღედ.<br>ცენტრს არდადეგები შემდეგნაირად აქვს ორგანიზებული: ზამთრის არდადეგები თანხვედრაშია ესგ-ით განსაზღვრულ არდადეგების დღეებთან, ხოლო გაზაფხულის არდადეგების (08.03-დან-14.03) ნაცვლად, ცენტრი ისვენებს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულებზე (07.04-დან-21.04). საერთო ჯამში II-XI |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კლასებისთვის განსაზღვრულია - 171, I კლასისთვის- 157, ხოლო XII კლასისთვის - 153 სასწ. დღე.<br>გაკვეთილების ხანგრძლივობა:<br>I კლასში - 35 წუთი;<br>II კლასში - 40 წუთი;<br>III-XII კლასებში -45 წუთი.<br>გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 5, 10, 15, 20 წუთით.<br>I კლასში-შესვენება 15 წუთიანია, ასევე არის ერთი 20 წუთიანი შესვენებაც.<br>II კლასში-10 წთ. დიდი შესვენება 15 წთ.<br>III-XII კლასებში-5წთ. დიდი შესვენება 10 წთ.<br>**საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები** - ცენტრში **რვა** საგნობრივი კათედრაა, რომლებიც აერთიანებენ საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. გაწერილია კათედრისა და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები.<br>**მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა** - განსაზღვრავს შეფასების მიზანს და ამოცანებს, შეფასების ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებას დონეების მიხედვით, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნებს, ქულების გამოანგარიშებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესებსა და პირობებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გამოცდების ტიპებს, საშემოდგომო და წლიური გამოცდების ჩატარების წესებსა და პირობებს, გაცდენებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარებას.<br>დაწესებულებას 2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილი აქვს წლიური გამოცდები.<br>**საათობრივ ბადე** - აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო და დამატებით სავალდებულო საგნების კვირეული და წლიური ჯამური საათების რაოდენობას, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ასევე განსაზღვრავს 2022-2023 სასწავლო წლის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას კლასებისა და სემესტრების მიხედვით.<br>საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო (ჭადრაკის გარდა) და არჩევითი საგნები. გათვალისწინებულია პროექტული სწავლების საათობრივი დატვირთვა 1სთ სამოქალაქო განათლებაში და 1სთ მუსიკაში. სკოლა ჭადრაკის სწავლებას მომავალი წლიდან განახორციელებს, შესაბამისი კადრის მომზადების შემდეგ. მეორე უცხო ენის შესწავლა მე-5 კლასიდან იწყება. სასკოლო საზოგადოებამ არჩევანი რუსულს ენაზე შეაჩერა.<br>არჩევითი საგნებად განსაზღვრულია:<br>✓ მეწარმეობის საფუძვლები-10 კლასი,<br>✓ სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა -11კლასი<br>✓ კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები- 12 კლასი<br>დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება შეთავაზებულია სამივე საფეხურზე:<br>✓ საღვთო სჯული (I-XI კლასი, კვირეული 2 სთ. მე-10 კლასში- 1 სთ)<br>✓ ძველი ქართული დამწერლობა (VIII-IX კლასი, კვირეული 1 სთ.)<br>✓ ქიმია (VII კლასი, კვირეული 1 სთ.)<br>ქიმიის განსხვავებული სქემით სწავლებასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გააგზავნა შეთანხმების წერილი. საპასუხო წერილით(26/09/2022), სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ქიმია ისწავლებოდეს, როგორც დამატებითი სავალდებულო საგანი მე-7 კლასიდან. აქვე განმარტებულია, სკოლას უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შეიმუშაოს საათობრივი ბადე (III მოდელი) და სამინისტროში წარადგინოს შესათანხმებლად, თუ როგორ შეუწყობს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას. სკოლამ ასევე წარმოადგინა საღვთო სჯულის, დამატებითი სავალდებულო საგნად, სწავლების შეთანხმების წერილი.<br>ესგ-ს 23-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად, სკოლას უფლება აქვს საკუთარი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშაოს მე-3 მოდელის საათობრივი ბადე და შეათანხმოს სამინისტროსთან, რაც თავიდან აცილებს თითოეული საგნის ცალკე შეთანხმების პროცედურას.<br>დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას:<br>✓ გახანგრძლივებული რეჟიმი (ფასიანი) - აღნიშნული სააღმზრდელო პროგრამა საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაასრულოს და შეავსოს სწავლების მრავალმხრივი, ამოუწურავი საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით და ეროვნული სასწავლო გეგმით.<br>✓ ქართული სიმღერებისა და საგალობლების ფოლკლორული გუნდი (უფასო) - (I-XII კლასი)<br>✓ ხელსაქმე (უფასო) - (V-XII კლასი)<br>✓ ლიტერატურული სალონი (უფასო) - (V-VIII კლასი)<br>**სადამრიგებლო პროგრამა-** ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს „ცენტრის“ დირექტორი.<br>თითოეულ დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა. ამასთან, სადამრიგებლო საათის ჩატარება ხდება ცალკე, გაკვეთილების შემდეგ.<br>**ინკლუზიური განათლება,** გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.<br>**სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები-**გაწერილია სასკოლ კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები.<br>სსგ მოიცავს საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები დანართის სახით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• დაწესებულების დირექციასთან გასაუბრება<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმი№1; 05/09/2022<br>• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი №11 60104; 26/09/2022<br>• დაწესებულების დირექტორის ბრძანება N -79 შაბათი დღის სასწავლო საგაკვეთილო ცხრილის დამტკიცების შესახებ.<br>• სკოლის ვებგვერდი |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასკოლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი კათედრების, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა და სადამრიგებლო პროგრამების გაცნობამ, ასევე სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია დააკმაყოფილოს სამივე საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები. სსგ-ით აგრეთვე განსაზღვრულია ის გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომელთა ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესი.<br>დაწესებულებაში შეიქმნა რვა საგნობრივი კათედრა.<br>✓ ქართული ენა და ლიტერატურა<br>✓ მათემატიკა და ტექნოლოგიები<br>✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br>✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები<br>✓ უცხოური ენები<br>✓ სპორტი და ესთეტიკური აღზრდა<br>✓ საღვთო სჯული<br>✓ დაწყებითი საფეხურის კათედრა<br><br>დაწესებულის მიერ წარმოდგენილი კათედრის პორტფოლიოები მოიცავს: კათედრის დებულებას, სამოქმედო გეგმას, კათედრის სხდომის ოქმს, შეფასების რუბრიკებს, კათედრის წევრთა საათობრივ დატვირთვას, გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის გრაფიკს და სამოდელო გაკვეთილების რეესტრს (ხარისხის ჯგუფის დასწრება), კათედრის თვითშეფასების კითხვარს, საგნობრივ კურიკულუმებს, თემატურ-კალენდარულ გეგმებს.<br>საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და მოთხოვნები. საგნობრივი კურიკულუმები განსაზღვრავს წლის მანძილზე შესასწავლ თემებს, თემის ფარგლებში განსახილველ საკითხებს და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს შესაბამისი თემატური მატრიცებით. თემატური მატრიცით წარმოდგენილი გრძელვადიანი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიზნები და მისაღწევი შედეგები თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დაგეგმილია სემესტრში მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება. სკოლა სარგებლობს სამინისტროს მიერ შემუშავებული გზამკვლევებით და შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.<br>დაწესებულებამ სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის შეიმუშავა დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც სავალდებულო ასევე კლუბების სახით.<br>სასკოლო გეგმის თანახმად, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებით. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოგვიდგინა ხელსაქმის წრის ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლის ვებგვერდიდან ჩანს, რომ სკოლის დირექცია ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა კონკურსებში, ზრუნავს მოსწავლეებში სახანძრო უსაფრთხოების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე (ცენტრში ჩატარდა სასწავლო სიმულაციური სახანძრო განგაში).<br>სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. თვითმართველობის მიზანია მოსწავლეებმა საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმონ მრავალფეროვანი ღონისძიებები, შექმნან კლუბები რაც ხელს შეუწყობს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემასა და მოსწავლის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებას.<br>გარკვეული უნარების განვითრებაზეა ორიენტირებული ,,ცენტრის“ სადამრიგებლო პროგრამები. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, |

| | |
|---|---|
| | თითოეულ დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლის პორტფოლიო მოიცავს: მოსწავლის ქცევის კოდექსს, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირადი მონაცემებს, კლასის სოციალურ პასპორტს, წრეობრივი მუშაობის რეესტრს, გაკვეთილების ცხრილს, კლასის მორიგეობის განრიგს, მშობელთან საკონტაქტო მონაცემებს, მშობლების გამოკითხვის ანკეტას, მშობლების კრების ოქმებს, სადამრიგებლო პროგრამას - ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტული თემების, მიზნების, განსახორციელებელი აქტივობების, შესრულების ინდიკატორის, პასუხისმგებელი პირისა და ვადების მითითებით, დამრიგებლის საათის განხორციელების დამადასტურებელ მასალებს, საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ამსახველ ფოტომასალას, მოსწავლის სოციალური უნარების შეფასების რუბრიკას, აკადემიური შეფასების ცხრილს, დამრიგებლის წლიურ სამუშაო გეგმას, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ფორმებს.<br>აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• კათედრის პორტფოლიოები<br>• მასწავლებლის პორტფოლიოები<br>• დამრიგებლის პორტფოლიოები<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან<br>• დაწესებულების ვებგვერდი.<br>• თვითმართველობის დებულება<br>• ,,მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის ბრძანება №77 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლება, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, სსსმ მოსწავლის განმარტება, სსსმ მოსწავლის მიღება და გარემოს მოწყობა, სსსმ მოსწავლის აკადემიურ შეფასება, გაცდენები, შინ სწავლება, ინკლუზიური განათლების მართვაში ჩართული პირების ვალდებულებები და ისგ-ს ნიმუში. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br>გახანგრძლივებული სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, სადამრიგებლო პროგრამა ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა სრულფასოვანი აღზრდა, თანამშრომლობა, მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.<br>აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმით განსაზღვრული პროგრამები უზრუნველყოფენ მოსწავლეს სწავლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-ნიმუში<br>• სადამრიგებლო პროგრამა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დამრიგებლის პორტფოლიოები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (წესები).<br>დაწესებულება იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმსაზღვრელი შეფასების დროს მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. VII კლასამდე საშინაო დავალების კომპონენტში მხოლოდ განმავითარებელი შეფასებაა შესაძლებელი. V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.<br>საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებში - მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და/ან ზეპირი ფორმით).<br>სასკოლო გეგმის მიხედვით დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს .<br>სასკოლო გეგმა მოიცავს შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობას სემესტრების მიხედვით და აღნუსხულია თითოეული კლასის საათობრივ ბადეში. განსაზღვრულია საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპი.<br>სკოლას გაწერილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესები და პირობები. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.<br>სასკოლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, აგრეთვე სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების, გაანგარიშების წესები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესები და პირობები. აღნიშნული წესები და პირობები შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.<br>2022-2023 სასწავლო წელს განსაზღვრულია წლიური გამოცდები შემდეგ საგნებში:<br>• VIIა, VIIბ ქართული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | • VIIIა,VIIIბ ინგლისური ენა; ფიზიკა<br>• IXა, IXბ მათემატიკა; გეოგრაფია<br>• Xა, Xბ ისტორია; ბიოლოგია<br>• XI ბიოლოგია; ქიმია<br>წლიური გამოცდის ქულას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე. გამოცდაზე „ცენტრი“ მოსწავლეებს შესთავაზებს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს და არა არჩევით პასუხიან ტესტებს.<br>შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევისწავლეთ რუსულის, მათემატიკის და ქართულის მასწავლებლების პორტფოლიოები. პორტფოლიოებში განთავსებულია შემაჯამებელი დავალებების ამსახველი მასალები. შემაჯამებელი დავალებების განრიგი, შეფასების რუბრიკები დავალებების ფორმის შესაბამისად. შეფასების სქემები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები, სემესტრული და წლიური შეფასების უწყისები. აღნიშნული მასალებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები აფასებენ ყოველ სასწავლო ერთეულს. აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს წინასწარ შემუშავებული ფორმით, სადაც მოცემულია შემაჯამებელი დავალების თემა, ჩატარების ფორმა და თარიღი, კლასის საშუალო ქულა, შემაჯამებელი დავალების მიზანი და სტანდარტის შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, პრობლემები რომლებიც გამოიკვეთა ამ შემაჯამებელ დავალებაში, პრობლემის გადაჭრის გზები და შენიშვნები. დაწესებულებაში ტარდება სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები: ტესტური, ესე, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ამოცანა, კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი კომენტარი.<br>მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი დავალებების განრიგი ცნობილია მათთვის, ასევე იციან რა თემაზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და რა კრიტერიუმებით ფასდება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. სკოლის ელექტრონული ჟურნალით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საკუთარი შვილის აკადემიურ მოსწრებას, შემაჯამებელი დავალების ჩატარებისა და აღდგენის ვადებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასებისა და სემესტრების მიხედვით<br>• მასწავლებლის პორტფოლიოები<br>• შეფასების რუბრიკები<br>• მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები, ფორმა და პრინციპები, ასევე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩამონათვალი.<br>ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.<br>მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება:<br>✓ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);<br>✓ ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში;<br>✓ ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;<br>✓ ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;<br>✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;<br>✓ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;<br>✓ სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).<br>მასწავლებელი მშობელთან შეხვედრის დროს, უფლებამოსილია გააცნოს მას შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში რომელსაც ასწავლის. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია.<br>მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან დირექციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს.<br>სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით;<br>მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პოზიტიურიდან პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ.  მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია.<br>დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები:<br>• სკოლის შინაგანაწესი<br>• მოსწავლის ქცევის კოდექსი<br>• სახელმძღვანელოების ნუსხა;<br>• მოსწავლეთა შეფასების სისტემა<br>• სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.<br>მშობლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს ელექტრონული ჟურნალის დადებით მხარეებზე. ისინი ოპერატიულად ეცნობიან საკუთარი შვილების აკადემიურ მოსწრებას. სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის დახურული ჯგუფების საშუალებით მშობელი ინფორმირებულია კლასში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე დადებითად აფასებენ დამრიგებლების მუშაობას და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს.  დასაქმებულ მშობლებს, განსაკუთრებით მოსწონთ გახანგრძლივებული სწავლების პროგრამა.<br>სკოლის მიერ შემუშავებული მშობელთან ურთიერთობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დებულება უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებასა და მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მშობლებთან ურთიერთობის დებულება (ბრ. N 63 15/12/21)<br>• სადამრიგებლო პროგრამა<br>• დამრიგებლის პორტფოლიო<br>• გასაუბრება მშობლებთან |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებამ წარმოადგინა „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“, აღნიშნული მექანიზმების შემუშავების მიზანია სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და შემდგომი გაუმჯობესების გზების დასახვა.<br>სასკოლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის სკოლაში ტარდება შემდეგი ღონისძიებები:<br>✓ სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი;<br>✓ ესგ-ში შესული ცვლილებების ანალიზი და გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში;<br>✓ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა; გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი<br>✓ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ახალი სასწავლო წლისთვის, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას.<br>სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციისა და ხარისხის მართვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მენეჯერის ხელმძღვანელობით. წინასწარ შემუშავებული კითხვარებით ტარდება მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა, ასევე სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მთავარი და უშუალო მონაწილის, მოსწავლის ჩართულობას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესში. ამ მიზნით ცალკეული საფეხურების მიხედვით ჩატარდება მოსწავლეთა გამოკითხვები სასწავლო წლის განმავლობაში. კლასის დამრიგებლებს ევალებათ ორგანიზება გაუწიონ ამგვარ გამოკითხვებს და შედეგები ანგარიშის სახით წარუდგინონ ცენტრის ადმინისტრაციას და ხარისხის მართვის მენეჯერს. გამოკითხვის შედეგების ანალიზის გათვალისწინება ხდება შემდგომ საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების გზების დასახვას.<br>გარდა გამოკითხვებისა, მასწავლებლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. პედაგოგთა ანგარიშების საფუძველზე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სკოლის კათედრების რეგულარულ შეხვედრებზე განიხილება სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე წინადადებები.<br>დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, მასწავლებელთა საჭიროების დადგენასა და პროფესიულ განვითარების მიზნით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისთვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს წლის განმავლობაში ჩასატარებელ ღონისძიებებს.<br>გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ანალიზი, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. „SWOT"-ანალიზი. SWOT ანალიზი იძლევა სურათს, თუ როგორ განვითარდა სკოლა, რა პრობლემები გადაიჭრა და რა ახალი პრობლემები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.<br>ყოველივე ზემოთ აღნიშნული იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას, ხოლო სასწავლო პროცესის შეფასება საბოლოო ჯამში ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმა<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.<br>• ხარისხის ჯგუფის დებულება<br>• SWOT-ანალიზი<br>• გასაუბრება დირექტორის მოადგილესთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | ესგ-ს 23-ე და 56-ე მუხლების გათვალისწინებით, სკოლას უფლება აქვს საკუთარი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშაოს მე-3 მოდელის საათობრივი ბადე და შეათანხმოს სამინისტროსთან, რაც თავიდან აცილებს თითოეული საგნის ცალე შეთანხმების პროცედურას. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** 20 593 კვ.მ მიწის ფართზე არსებული 3430.6 კვ.მ. შენობა ნაგებობა | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** ქ. ქობულეთი დავით აღმაშენებლის გამზირი N 251 | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი მდებარეობს ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირზე N 251. რეესტრის ამონაწერის თანახმად დაწესებულება ფლობს 3 შენობას: N1-433.2 კვ.მ., N2-2945.4 კვ.მ. და N3-52 კვ.მ., რომლებიც განთავსებულია 20 593კვ.მ მიწის ფართზე. N1 და N2 შენობები სამსართულიანია და ერთმანეთთან მიჯრით არის განთავსებული.<br>ცენტრს ფართი და შენობა გადაეცა უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულებით (უვადო) საქართველოს საპატრიარქოსგან. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ., N251 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 20.42.04.007 |
| *კვ.მ.* | 20 593 კვ.მ მიწის ფართზე არსებული 3430.6 კვ.მ. შენობა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნაგებობები |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>• შენობის აზომვითი ნახაზები<br>• საქართველოს საპატრიარქოს თხოვების ხელშეკრულება (უვადო)<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები |
| შეფასება | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრის ორივე შენობაში სულ 24 საკლასო ოთახია. მათ შორის I სართულზე განთავსებულია 6, II სართულზე 10 და III სართულზე 8 საკლასო ოთახი.<br>I სართულზე განთავსებულია ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მოძღვრის ოთახი, სამედიცინო დახმარების ოთახი, 8 სველი წერტილი, სამზარეულო (თავისი სველი წერტილითა და საწყობით), 2 სატრაპეზო, მაგიდის ჩოგბურთის ოთახი, 2 გასახდელი გოგონებისა და ვაჟებისთვის, სპორტული ინვენტარის ოთახი, დახურული სპორტული დარბაზი.<br>ცენტრის II სართულზე განთავსებულია: ბიბლიოთეკა, ისტი-ის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი, სამასწავლებლო (თავისი სველი წერტილითა და მოსასვენებელი ოთახით), 8 სველი წერტილი, საწყობი.<br>ცენტრის III სართულზე განთავსებულია: სააქტო დარბაზი, საკონფერენციო ოთახი, ორგანიზატორის კაბინეტი, ხელოვნების კაბინეტი, საარქივო ოთახი, სარეზერვო ოთახი, 8 სველი წერტილი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცენტრს გააჩნია საკუთარი დიდი ეზო, უკანა ეზოში არის სპორტული დიდი მოედანი.<br>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული (355 + დასაწყობებული 155) მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• აზომვითი ნახაზები<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ცენტრის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი ფართით 151,76 კვ.მ. (დარბაზს ახლავს 2 გასახდელი გოგონებისა და ვაჟებისთვის) და ასევე მაგიდის ჩოგბურთის ოთახი ფართით 49.45 კვ.მ., ხოლო ეზოში მოწყობილია მინიფეხბურთისა და ფრენბურთის დიდი ღია მოედანი.<br>დაწესებულებას შეძენილი აქვს შესაბამისი სპორტული ინვენტარი: ჭადრაკის დაფები, ბადმინტონის, ფრენბურთის, ფეხბურთის ბადეები, ბურთები და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრში 2 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი კარადა. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცულია ცალკე სივრცეში კაბინეტის მოპირდაპირე მხარეს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია<br>• სასაქანლო ზედნადებები<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრს მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. გაფორმებულია ხელშეკრულებები სოკარ ჯორჯიასთან, ენერგო პრო ჯორჯიასთან და შპს ქობულეთის წყალთან. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას წყალი უსასყიდლოდ მიეწოდება) ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.<br>შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, სკოლის ეზოში მდებარე პატარა შენობაში განთავსებულია გათბობის აგრეგატი, რომელსაც არ ჰქონდა დამონტაჟებული კარი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ, გაიცა რჩევა შენობაზე კარის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რაც ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინეს ცენტრის წარმომადგენლებმა და დაიწყეს შესაბამისი სამუშაოები.<br>სანიტარული კვანძები განთავსებულია ყველა სართულზე.<br>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ელექტროენერგიის და წყლის გადახდის ქვითრები<br>• სოკარ ჯორჯიასთან, ენერგო პრო ჯურჯიასთან და შპს ქობულეთის წყალთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და მასში დაცულია 1306 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ელექტრონულად არის აღნუსხული. ასევე, შემუშავებულია საინვენტარო წიგნი და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები.<br>ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და |

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.<br>ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და მისი მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• ბიბლიოთეკის ელექტრონულად დამუშავებული კატალოგი<br>• წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები<br>• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი<br>• სასაქონლო ზედნადებები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებას აქვს მოძრავი პანდუსები. ცენტრის პირველ სართულზე განთავსებული ერთ-ერთი სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. სკოლას ამ ეტაპზე სსსმ და შშმ პირი არ ჰყავს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია<br>• მიღება ჩაბარების აქტები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

GANATLEBIS XARISXIS GANVITAREBIS EROVNULI CENTRI
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ცენტრს აქვს: ინტერნეტში ჩართული 25 პერსონალური კომპიუტერი და 9 ლეპტოპი. 1 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 1 სამასწავლებლოში, 19 ისტ-ის კაბინეტში და 4 ადმინისტრაციის ოთახში. +1 კომპიუტერი დარაჯთან ვიდეოსათვალთვალო ჩანაწერებისთვის და 1 დირექციის ოთახში. ცენტრს აქვს 4 მულტიფუნქციური პატარა პრინტერი და 2 პროექტორი.<br>ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ვებგვერდზე https://qobuletis-sasuliero.edupage.org/ განთავსებულია: ცენტრის ისტორია, ცენტრის დებულება, მისია, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები, ცენტრის სტრუქტურა, ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ფოტო და ვიდეო მასალა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება.<br>ცენტრის ელექტრონული ფოსტაა:gimnazia111@gmail.com.<br>საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს ცენტრის Facebook გვერდიც,სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ცენტრის ვებგვერდი https://qobuletis-sasuliero.edupage.org/<br>• ცენტრის ელექტრონული ფოსტა gimnazia111@gmail.com<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები<br>• ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა - ცენტრის მიერ შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები, ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსაქმებლის ვალდებულება, საფრთხის იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და მართვა, რისკების პრევენციული ღონისძიებები. დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მოვალეობები, შემუშავებულია ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ და შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და დასაქმებულთა ინსტრუქტაჟი. შემუშავებულია შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია და დებულება - სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ.<br><br>შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დამუხტული, ვადიანი |

| | |
|---|---|
| | ცეცხლმაქრები (25), გამოკრულია გასასვლელი მანიშნებლები EXIT. ცენტრის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი<br>• ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ<br>• შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ - თანახმად შემუშავებული 9 ევაკუაციის გეგმა და 30 ცალი ევაკუაციის გზის მაჩვენებელი.<br>ცენტრს აქვს სათადარიგო გასასვლელიები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად ცენტრს ჰყავს ექიმი და ექთანი, რომლებთანაც გაფორმებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისი ხელშეკრულებები. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, შირმა, საათი, დამონტაჟებულია ონკანი და გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექიმთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სამედიცინო დახმარების მექანიზმები<br>• სკოლის შინაგანაწესი<br>• ჩანაწერების ჟურნალი<br>• ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრს შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად არის შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად გადაგზავნილი აქვს ქობულეთის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რესურსცენტრის უფროსთან 2022 წლის 25 აგვისტოს.<br>სკოლამ წარმოადგინა ასევე დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–ამაღლებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სადამრიგებლო პროგრამები<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები<br>• შინაგანაწესი<br>• გასაუბრების შედეგები<br>• სკოლის შინაგანაწესი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ ცენტრს აქვს უსაფრთხოების 32 კამერა, მათ შორის 10 უზრუნველყოფს გარე პერიმეტრის კონტროლს, ხოლო შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 22 კამერა. კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორის მოადგილე და დარაჯი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრშიშემუშავებულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდების, დებულების და შინაგანაწესის სახით. დებულება დამტკიცებულია მართვის საბჭოს კრებაზე (ოქმი N1), 2021 წლის 01 სექტემბერს, ხოლო შინაგანაწესი შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ოქმი N 2 და დამტკიცებულია დირექტორის მიერ 02.09.2021 წელს.<br>ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის წესდებით განსაზღვრულია ორგანიზაციის სტატუსი და მიზნები. წესდების თანახმად ორგანიზაციის დამფუძნებელია საქართველოს საპატრიარქო და მმართველი ორგანოებია დამფუძნებელი და დირექტორი.<br>დებულებით განსაზღვრულია ცენტრის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, ცენტრის სტრუქტურა, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები, კათედრების ფუნქციები, ადმინიტრაციის ძირითადი ფუნქციები, მოსწავლეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თვითმმართველობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, სხვა ცენტრში გადასვლის, პარალელურ კლასში, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვის წესი.<br>ცენტრის შინაგანაწესი ვრცელდება დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, ცენტრის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი წარმოადგენს ცენტრსა და მასში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტით.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; (რეიტინგულ დაგროვებითი მოდელი); მატერიალური პასუხისმგებლობა; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ცენტრში ჩაცმულობის წესი; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; შინაგანაწესის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესი.<br>დოკუმენტით განსაზღვრულია, დასაქმებულის წახალისების სასახეები და გამოყენების წესი; მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; დასაქმებულის მიერ დისციპლინარული გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მოსწავლის მიერ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დისციპლინარული გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები და სხვა მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან.<br><br>სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე: მშობლებთან ურთიერთობის დებულება-(კომუნიკაციის სტრატეგია) პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები; დებულება ცენტრის შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ; პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; დამრიგებლის მუშაობის დებულება; პედაგოგიური საბჭოს დებულება; მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება; მართვის საბჭოს დებულება და სხვა.<br>გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის შინაგანაწესი<br>• ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის დებულება<br>• მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მონიტორინგის მექანიზმები<br>• დებულება ცენტრის შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ<br>• პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება<br>• დამრიგებლის მუშაობის დებულება<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება<br>• მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება<br>• მართვის საბჭოს დებულება და სხვა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურმა ცენტრმა თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 01 სექტემბერს. ვიზიტის პერიოდში ცენტრმა წარმოადგინა ასევე 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცენტრმა სტრატეგიული გეგმის შედგენისას გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისათვის გამოყო 5 ძირითადი სტრატეგიული მიზანი:<br><br>• სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება<br>• სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება<br>• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება<br>• უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა<br>• მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა<br><br>სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩაშლილია ამოცანებად, მიზნის მიღწევის ინდიკატორებად და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. განხორციელების ვადად ყველა ამოცანისთვის განსაზღვრულია ექვსი წელი, რასთან დაკავშირებითაც ცენტრს მიეცა რჩევა - კონკრეტული შესასრულებელი ამოცანები გაიწეროს კონკრეტული წლების მიხედვით.<br><br>2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ძირითად ამოცანებს, რომლებიც აქტივობებად არის ჩაშლილი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები.<br><br>უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული მიზნები, სრულად მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა<br>• 2021-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების დებულება, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. დებულების თანახმად სკოლა აწარმოებს 7 საქმისწარმოების ჟურნალს:<br>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი<br>• საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• მოსწავლეთა მოძრაობის ანსახველი ანბანური წიგნი<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>ყველა ჟურნალი (წიგნი) ზონარგაყრილი და ბეჭედ დასმულია.<br><br>სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები<br>• საქმისწარმოების ერთიანი წესი |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | • შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, სკოლის ეზოში მდებარე პატარა შენობაში განთავსებულია ცენტრალური გათბობის აგრეგატი, რომელსაც არ ჰქონდა დამონტაჟებული კარი. სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა შენობაზე კარის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რაც ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინეს ცენტრის წარმომადგენლებმა და დაიწყეს შესაბამისი სამუშაოები.<br>• სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩაშლილია ამოცანებად, მიზნის მიღწევის ინდიკატორებად და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. განხორციელების ვადად ყველა ამოცანისთვის განსაზღვრულია ექვსი წელი, რასთან დაკავშირებითაც ცენტრს მიეცა რჩევა - კონკრეტული შესასრულებელი ამოცანები გაიწეროს კონკრეტული წლების მიხედვით. |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

**3. ადამიანური რესურსი**

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურმა ცენტრში 67 თანამშრომელია, დირექტორი, დირქტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ბუღალტერი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | იურისტი, საქმისმწარმოებელი, 3 ინსპექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ორგანიზატორი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ექთანი, უსაფრთხოების სპეციალისტი, მოძღვარი, ლაბორანტი, გუნდის ხელმძღვანელი, მძღოლი, დამლაგებელი/მეეზოვე, დამლაგებელი, ტექნიკური შეკეთების ოსტატი, დარაჯი და 43 მასწავლებელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სტრუქტურა;<br>• საშტატო განრიგი;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ** | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **43** |
| **მოწვეული/მაძიებელი** | **9/1** |
| **უსტატუსო მასწავლებლი** | **4** |
| **უფროსი მასწავლებლი** | **29** |
| **წამყვანი მასწავლებლი** | |
| **მენტორის სტატუსი** | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურმა ცენტრის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 43 მასწავლებლიდან 29 არის უფროსი მასწავლებელი, 9 მოწვეული, 1 მაძიებელი, ხოლო 4 უსტატუსო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელია.<br>ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გაირკვა, რომ მასწავლებლები მომავალში გეგმავენ პროფესიულ წინსვლას, ხოლო ამ ეტაპზე მათთან გაფორმებულია კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ამონაწერი ემისიდან<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები<br>• თანამშრომელთა პირადი საქმეები<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები<br>• საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ცენტრში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის დებულებით - თავი V. თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ღია კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teachers.gov.ge - ზე.<br>სკოლის შინაგანაწესის მუხლი-10 მთლიანად ეთმობა დასაქმებულის წახალისების სახეებსა და გამოყენების წესს. წესის |

| | |
|---|---|
| | თანახმად ცენტრი უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის.<br>წახალისების ფორმებად განსაზღვრულია: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე დისციპლინური წარმოების წესი, კერძოდ ისეთი საკითხები, როგორიცაა: დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები,<br>დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების დაწყება, მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი საქმის გარემოებათა გამოკვლევა, დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა და სხდომის მიმდინარეობის წესი, დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა/აცილება, დისციპლინური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება, დისციპლინური სახდელის დაკისრება/დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმა, გასაჩივრება, დისციპლინური წარმოების სპეციალური წესი, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების |

| | |
|---|---|
| | ვადა.<br>შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება აქვს ყველა თანამშრომელს რაც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შესაბამისად უზრუნველყოფილია ყველა პროცესის გამჭვირვალობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“<br>• სკოლის შიანაგანაწესი<br>• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან<br>• ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურმა ცენტრის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება შეიცავს ზოგად დებულებას, ხელშეკრულების საგანს (მასწავლებლის შემთხვევაში, საგანი რომელსაც ასწავლის და სტატუსი), მხარეთა უფლება მოვალეობას, სამუშაო ადგილსა და დროს, დასვენების დროს, ანაზღაურების წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ყველა მათთგანს წარმოდგენილი აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის ნასამართლევი და არ აქვს ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს ცენტრის ადამიანური რესურსის მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით ცენტრში შექმნილი იქნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.<br>ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შეესაბამება ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის მისიას, ღირებულებებსა და ძირითად მიზნებს; ასევე იმ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ძირითად გამოწვევებს, რომელთა მიღწევაც სურს ცენტრს ადამიანური რესურსების მიმართულებით და ამ მიზნების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სრულყოფისათვის ახორციელებს ჯეროვან ქმედებებს.<br><br>ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია: - ცენტრში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება; - ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელება; - ცენტრში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, მოტივირებული და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა.<br>ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა:<br>დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანაბარი შესაძლებლობები, მიზანშეწონილობა, გამჭვირვალობა,<br>პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ორიენტაცია ხარისხზე.<br>როგორც დოკუმენტიდან ჩანს, რაც ასევე დაგვიდასტურეს დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა - ცენტრი მიიჩნევს, რომ პერსონალის წახალისების სისტემა არის უმთავრესი მექანიზმი ადამიანური რესურსების მართვის. ის ხელს უწყობს ცენტრში კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალის მოზიდვას. წახალისების სისტემა პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობასთან.<br><br>ცენტრი წახალისების ფორმებთან ერთად, ცდილობს შექმნას ყველასთვის კომფორტული და თანასწორი გარემო, რათა პერსონალმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა.<br><br>წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას: - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **ორგანიზება/დაგეგმვა** - ორგანიზების/დაგეგმვის მიმართულება თავის თავში აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების, საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს.<br><br>**ორგანიზაციაში შემოსვლა** - ორგანიზაციაში შემოსვლის მიმართულება თავის თავში აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს.<br><br>**სამუშაოს მართვა** - ორგანიზაციაში სამუშაოს მართვა თავის თავში აერთიანებს შეფასების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს.<br><br>**ორგანიზაციიდან გასვლა** - ორგანიზაციაში გასვლის მიმართულება თავის თავში აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს.<br><br>დოკუმენტის მეოთხე თავი სრულად ეხება თანამშრომელთა მოზიდვა/შერჩევის, დაქირავების, ადაპტაცია-ორიენტაციის, განვითარებისა და სტაჟირების საკითხებს, ხოლო მეოთხე თავით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საკითხები.<br><br>დოკუმენტს დანართის სახით ახლავს კითხვარების ფორმები: გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა; ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი; სკოლის პერსონალის გამოკითხვა სოციალიზაციის შესახებ და სხვა.<br>ადამიანური რესურსების მართვის ძირითად კომპონენტებს. სისტემის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრის დირექტორი. პერსონალის სამუშაო აღწერილია მათ შრომით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებებში და სკოლის დებულებაში.<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს ცენტრის პერსონალისა და მასწავლებლების ინფორმირებას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რაც დასტურდება მათთან გასაუბრებით და წარმოდგენილი სერტიფიკატებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;<br>• მასწავლებლების პირადი საქმეები<br>• ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების და მათ მიერ ჩატარებული აქტივობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრში ნამდვილად სუფევს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობელთა და მოსწავლეთა აზრი ცენტრის მუშაობის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმია. ცენტრს აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ყველა საჭირო რესურსი, ამიტომ იგი ცდილობს შექმნას ისეთი დინამიური გარემო, რომელშიც მოსწავლეები ცოდნას შეიძენენ და სამყაროში დღეს არსებული გამოწვევებისთვის მოემზადებიან. მთავარი პრიორიტეტი კი ისაა, რომ ცენტრი, არამარტო ბავშვის განათლებაზე, არამედ მათ სულიერ განვითარებაზეც ზრუნავს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას ემსახურება სკოლაში შექმნილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც, რომლის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს - ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლაში შექმნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.<br><br>მშობლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ ცენტრში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მათი შვილების უსაფრთხოებას და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს, ასევე სკოლის მთავარ პრიორიტეტად ასახელებდნენ იმას, რომ ცენტრში მათი შვილების სულიერ განვითარებაზეც ზრუნავენ.<br>მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს მათი მოტივაციის ასამაღლებლად. ისინი ხშირად მუშაობენ პროექტებზე, რაც მათ მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება. თვითმმართველობაში ჩართული მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ საკუთარი ინიციატივების განხორციელებაში და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ Ა Ნ Ა Თ Ლ Ე Ბ Ი Ს Ხ Ა Რ Ი Ს Ხ Ი Ს Გ Ა Ნ Ვ Ი Თ Ა Რ Ე Ბ Ი Ს Ე Რ Ო Ვ Ნ Უ Ლ Ი Ც Ე Ნ Ტ Რ Ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -61

თბილისი, 08.11.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.